ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

15-16

1981

მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩვენიდან შემქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არის,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა!

120

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაი ყმა

(ხევსურულ ჰანგზე)

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს,
მოციქულობდნენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.
ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე სისხლგადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს;
მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სნორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.
მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს.

სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს? — არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა
მარტო სახელსა სწირავდეს...
ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა,
მკვდრისა ვსვათ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი — ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა — ხორხობა
ღრუბელთა გადმონაყარი.
სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გარდასულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა,
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.
აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არცროს არ გამასდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ,
ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინსთ და შურითა ჰხდებითა;
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა,
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი

შარშან მდიდრებსა ჰლანძლავდი,
დღეს თითონ იძენ ფულსაო,
ჟანგ-მურის თავშესაფარად
იხდი სულსა და გულსაო!

წესია: გამოჰფხიზლდებათ
მეორე დილას მთვრალებსა!

მოგენდო, ისიც მაშინებს,
და არ მოგენდო, ისიცა!

ღიმილით. მრისხანებით!..

მსოფლიო ლიტერატურაში საკმაოდ მცირეა რიცხვი იმ დიდი მწერლებისა, თანაბრად რომ ჰქონდეთ განვითარებული ტრაგიკულისა და კომიკურის გრძნობა. ასეთ მწერლად, უპირველეს ყოვლისა, შექსპირი წარმოგვიდგება. ქართველი მწერლებიდან ამ ტიპის შემოქმედად გვესახება ვაჟა-ფშაველა, რომლის მემკვიდრეობაშიც ცხადად ჩანს დიადისა და სასაცილოს გვერდიგვერდ ყოფნა — რჩეულთა ჯოჯოხეთური სულიერი ტანჯვა და გამოცარიელებული ნიღბოსნების ტაკიმასხარული საქციელი.

ვაჟას სატირული ნიჭის სიმძაფრემ განსაკუთრებით მის პუბლიცისტიკაში იჩინა თავი. გავიხსენოთ თუნდაც სალიტერატურო ენის თაობაზე პოეტის კამათი პ. მირიანაშვილთან, ვინც მას უმართებულოდ აკრიტიკებს და სხვადასხვა „რეცეპტებს" აწვდის. ვაჟას სტატია (**„მცირე შენიშვნა"**) თითქმის ასი წლის წინათ (1888 წ.) დაიწერა და მასში გამოთქმული ძირითადი მოსაზრებანი დღემდე ანგარიშგასაწევია და, ალბათ, არც მომავალში დაკარგავს მნიშვნელობას.

მოპაექრის არაკომპეტენტურობა რომ გვიჩვენოს, ვაჟა თავიდანვე შენიშნავს: **„ბ-ნ მირიანაშვილს ეპატიებოდა სხვების გაფრთხილება ქართულის ენის გარყვნა-„გახორკლიანების" გამო, რომ თვითონ მცოდნე იყოს ენისა და იმ ფილოლოგ-ლინგვისტთა დასს არ ეკუთვნოდეს, რომელნიც რამდენისამე სიტყვის მსგავსებაზე აფუძნებდნენ სხვადასხვა ერის ერთს ტომობას და ერთს გვარობას".**

ვაჟას სიამაყის საგანს მუდამ წარმოადგენდა ქართული ენისა და მასში შემავალი დიალექტების აურწყავი სიმდიდრე, ენის სიკვდილად მიაჩნდა, რომ მწერალი ერთი რომელიმე სიტყვით შემოფარგლულიყო!

ვაჟას სატირისა და იუმორის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოვლინებაა საუცხოო ფელეტონი **„სადიდმარხვოდ"**. ავტორის სამიზნე გაცილებით დიდია, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების მიერ მარხვის შენახვა იქნებოდა, მაგრამ თავდაპირველად მაინც ამ მოვლენაზეა გამახვილებული ყურადღება.

ავტორის თქმით, „მარხვაჭამიები" უფრო ბლომად მოიძებნებიან ქალაქ ადგილებში, მაგრამ უმალ დასძენს: **„...სოფელშიაც ბევრი ძალად წმინდანობს..."** აქვე ჭეშმარიტად დიდოსტატურადაა აღწერილი საკუთარი კუჭის მსახური, ზოგიერთი მსუნაგი დიაკვანი, სალოცავად შესულს შემწვარ-მოხრაკული რომ ელანდება: **„გაისმის მწუხარე ხმა ზარისა და მოდის ისიც საყდარში წელმოწყვეტილი, ფეხებს ძლივს მიათრევს და დიდ-მარხვის ჯავრს ჟამნ-დავითნზე იყრის. გაგიხარიან, ის ხხაპასხუპით გაუსვამს და ადგილ-ადგილ შეუმაღლებს ხმას შეტევით, ერთს კი გაიგონებთ: „უფალოვო", რომ წამოიძახებს გაჯავრებული, და შემდეგ კი გესმით მხოლოდ — ფალო, ფალო, ფალო, ფალო!.. სად არის კაცი და პატრონი უთხრას — „ფალო" კი არა, უფალო, დაგიდგეს, შე მსუნაგო, თვალი! წაიკითხე, როგორც წესი და რიგია! გაგვაგებინე, რას გვიწერს, რას გვასწავლის უფალი; სულ ბოზბაშისა და ღორის ლურთები ნუ გაგონდებაო".**

სარკაზმი კიდევ უფრო მწვავდება, როცა ვაჟა სულის იძულებით შიმშილზე გადადის:

„კუჭის მარხულობა რაც არის, არის, ღმერთს გაუჩენია, თუ წმინდანთა დაუდგენიათ... მაგრამ თუ ვინმე გონების მარხულობასაც შემოიღებდა, ის კი, სწორედ მოგახსენოთ, ჩასაქოლავი იქნებოდა!.. მაგრამ რას ვამბობ? ჩვენში ხომ გონებას უფრო ამარხულებენ, მანამ კუჭსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ორივეთი მარხულნი ვბრძანდებით: გონებითაც, კუჭითაც".

ერის მოჭირნახულე პოეტი ხშირად გამოთქვამდა სინანულს, რომ ზოგჯერ ჩვენივე ულამაზესი და უნოყიერესი მიწის ფასი არ ვიცით და, ამდენად, არც ვუვლითო.

ვაჟა-ფშაველას აღიზიანებდა ზოგ-ზოგების ახირებული მსჯელობა, თითქოს ჩვენი ხასიათის მთავარი თვისება ღორული სმა-ჭამა, მსუნაგობა, ხალიჩაზე წალმა-უკუღმა კოტრიალი, თათქარიძეობა ყოფილიყოს. პოეტი თავად ამასხარავებს ასეთ საარაკო მუქთახორებს, გაძღომას რომ ველარ იგებენ, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის ლაზათიანი სმაჭამის წინააღმდეგი, ოღონდ შენიშნავს, ამ კარგმა მჭამელმა მუშაობაც ასეთივე მადიანი უნდა იცოდესო. ძალზე მახვილგონივრული და დამაფიქრებელია ვაჟას დაკვირვება: **„სხვადასხვა პირობებში ჩავარდნილს თათქარიძეობას სხვადასხვა შედეგი მოსდევს, ნამდვილს თათქარიძეს რომ მუქთად, უფასოდ მშრომელთა ყმათა მარჯვენის ნაღვაწი, ნაჟური სურსათი არა მოსდენოდა მზამზარეულად და არც იმდენი შეძლება და ფული ჰქონოდა, მუშები დაექირავებინა და იმათთვის ეკეთებინა თავისი საქმე, ცხადია, ისეთის სმა-ჭამის მოყვარული, პირისგემოს კაცი ან თითონ დაიმკლავებდა, მოჰკიდებდა ხელს თოხსა და ნიჩაბს წოლაძილის მაგივრად, ან არადა, თავს მოიკლავდა".** აქვე, ამავე მოვლენას, თათქარიძეობას, ვაჟას მაძიებელი აზრი სულ სხვა მიმართულებასა და დანიშნულებას აძლევს, რათა მისი ხასიათი თვისობრივად შეიცვალოს, ამ დაუოკებელმა მადამ სასიკეთო საქმეში იჩინოს თავი:

„რა კარგი იქნებოდა, რომ ყველას ისეთი ცოდნის შეძენის, გონების განვითარების მადა ჰქონდეს, როგორიც თათქარიძეს სმა-ჭამისა აქვს; ყველას ისეთი სვავი და მგელი, ცოდნისათვის დამშეული, უჯდეს გონებაში, როგორიც თათქარიძეებს კუჭში უზით".

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(გაგრძელება)

ამის დამწერი, რა თქმა უნდა, იმას ნატრობდა, რომ ქვეყანაზე **„მუცელღმერთა, თავისთვინა ადამიანების“** სახსენებელიც არ დარჩენილიყო.

კიდევ უფრო დაუნდობელია ვაჟა უნიათო, უგერგილო კალმოსნების მიმართ, მკითხველის გულსა და გონებას რომ ანაგვიანებენ:

„ბევრი რამ გამიგონია ჩვენს მწერლობაში ჩვენის მწერლებისაგან უსულგულოდ ნათქვამი სიტყვა, უმარილო, უგემური, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ გულიდან ჟანგი გადასწმინდოს კაცსა, უფრო უმატებს ჟანგსა და ობსა“.

რა დასამალია და, ბევრი ასეთი მჯღაბნელი დღესაც მოუშორებელ ტვირთად ჰყავს აკიდებული ჩვენს ხალხსა და ლიტერატურას და რამდენადაც შეუძლიათ, ხელს უშლიან ნამდვილ მწერლობას. ასეთებს სხვანაირად მოვლა სჭირდებათ და ამავე წერილში („ფიქრები“) ვაჟა ჩვეული ჰუმანურობით წერდა:

„მაინცდამაინც წერის უფლებას ჩვენ ვერავის წავართმევთ: ყველას ნება აქვს წერისა და ფიქრისა, როგორც სიყვარულისა, სიხარულისა, სიცოცხლისა და ხეირიანის ცხოვრებისა, მაგრამ ყველას კი ვერ დავაჩემებინებთ მწერლის სახელს, მით უმეტეს — უსულგულო ადამიანს“.

აქედან სულ იოლია იმ აზრის გამოტანა, რომ ყოველგვარი უბადრუკობა არ უნდა ქვეყნდებოდეს.

ვაჟა საკადრისად უპასუხებდა ხოლმე სამშობლოს აუგად მახსენებლებსაც. ერთ არამკითხე, მეტიჩარა ჟურნალისტს, რომელიც რუსულ პრესაში ვითომდა კრიტიკულ, მამხილებელ წერილებს აქვეყნებდა ქართულ ყოფაზე, ბოლოს რუსთაველის პოეტობაც საეჭვოდ გაუხდია, რასაც, ბუნებრივია, ვაჟას განრისხება მოჰყვა:

„ჩვენ გამოგვიჩნდა ახალგაზრდა მწერალი, რომელიც რუსულად წერს წერილებს საქართველოზე. ისეთი სიმართლე და იმდენი ჭეშმარიტება სთქვა ამ ახალგაზრდა თხამ, რომ ბაყბაყდევიც კი შეინძრა თურმე ქვესკნელსა მას სარეცელსა თვისსა და თავისი თეფშებივით ყურები აცქვიტა. ამ ჩვენის თხის კიკინს შემდეგ ერთი ბაყაყიც ვეღარა ჰბედავს ყიყინს ჭაობში. სანყალს თხას გაუგონია, უარყოფას ბაზარი აქვსო და უარჰყოფს ყველაფერს ჩვენსას და რა გგონია, უარჰყოფს ჩვენს დიდებულს პოეტს, დიდებულის პოემის დამწერს, რომელიც მეორე ღმერთად მიაჩნია ქართველს ერს, რომლის სახელიც ძუძუთა ბალღმაც კიციის...“

ამას მოსდევს კიდევ უფრო გამანადგურებელი ირონია, რაც სულ მიწასთან ასწორებს ამ **„ბეჩავს პუბლიცისტს“: „სწორედ კლინიკაში გასაგზავნი, გასაჩხრეკი და შესამოწმებელია იმისთანა გოგრა, რომელიც ღმერთს მხოლოდ იმიტომ უარყოფს, თითონ გაღმერთდეს, თეთრს შავს ეძახის მხოლოდ იმიტომ, რომ ჟინი უვლის ქვეყნის აბუჩად დაჭერისა...“**

ძალზე აღონებდა და აფიქრებდა ვაჟას ზოგიერთ მკითხველთა მდარე გემოვნება და ლიტერატურული კრიტიკის სიმჩატე, არაპროფესიონალიზმი, როცა ესა თუ ის ნაწარმოები მთავარი ღირსებებით დ მთლიანობაში კი არ ფასდება, არამედ მხოლოდ გარეგნული ელვარების, ბრჭყვიალა სამკაულების მიხედვით: **„რა გააწყოს აქ ნიჭიერმა კალამმა, როდესაც ლექსი რითმიანობით ფასდება, პროზა კიდევ იმით, რა საგანზე სწერ და როგორის სიტყვებით?.. ჩვენებურის მკითხველების (უმრავლესობისა, რასაკვირველია) გულში ნიჭიერის კალმის ნაფქვავი და უნიჭოს ნაროხ-ნაროში ერთად იზილება, ერთ კვერად ცხვება“.**

დიდი პოეტის გულისწყრომით აღსავსე ამ საყვედურს სადღეისოდაც არ დაუკარგავს ძალა და მნიშვნელობა და არ გვაწყენდა, ვაჟას პრინციპს სახელმძღვანელოდ რომ გავიხდიდეთ.

ვაჟას გულს უკლავდა ის პასიურობა და სილაჩრე, ირგვლივ რომ იყო გამეფებული, აღიზიანებდა ბედისადმი ადამიანთა მონური მორჩილება და მათ გამოსაფხიზლებლად მწვავე ირონიასაც არ ერიდებოდა:

„ღმერთმა დაიფაროს, ფიქრისთვისაც რომ სასჯელი იყოს დანესებული, ათასში ერთი თუ გაბედავდა ფიქრს, თორემ ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი დაემსგავსებოდა იმ ლოდებს, ჩემს პირდაპირ ბექიდან რომ გამოიყურებიან გამტკნარებულნი, გალულუჩებულნი, სანყლად, ბეჩავად“.

ცხრაას ხუთი წლის ქარიშხლიან დღეებში, როცა რეაქცია ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს, ვაჟამ ხმა აღიმაღლა, სამარცხვინო ბოძზე გააკრა ცარიზმის ძალმომრეობა. მწარე ირონიით აღსავსე კითხვა, ბრალდებასავით რომ გაისმის, ტონს აძლევს მთელს ამ ნაწყვეტს:

„ვინ არის მართალი? — მხოლოდ ძალა და ძალა, რომელიც აღმართსა ჰხნავს, ამოღებული ხმალი, რომელიც დრტვინვაზე, უკმაყოფილებაზე თავს უპობს, — რად დაგებადა წინააღმდეგობის ფიქრიო. ხიშტი, რომელიც უამისოდაც სისხლ-ცრემლიან ადამიანის გულსა ჰგმირავს, — რადა ხარ უკმაყოფილო, რადა სტირი, რადა სჩივიო; ბორკილი, დიდი, მძიმე ბორკილი, რომელიც უნდა დაედვას ადამიანის ბაგეს, მის ენას, რათა არ გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება, არა სთქვას ის, რაც უჭირს, რაცა სტკივა, არამედ ჩუმად იყოს, მოკრძალებით, მოწიწებით, მუნჯად, ცოცხალმკვდრად — ჩუუუ! სსუუუ!“

ვაჟამ ისიც კარგად იცოდა, რომ თავისუფლებას ადამიანი მომზადებული უნდა შეხვდეს, ნათელი გონება და შინაგანი ღირსება უნდა გაჩნდეს; ამიტომაც წერდა იგი: **„განუვითარებელი, გაუზრდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება“.**

მთელი ქვეყანა დაგცინის,
თითით ულერენ შენზედა!

ის ალარა ვარ, ძმობილო,
რაც გინახავარ წინადა...
წუწკმა დიაცმა გამხადა
თავის ბაშმაკის ძირადა!

ვაჟას პუბლიცისტური ნაწერების უბრალო გადათვალიერებაც კმარა, დავინახოთ, თუ როგორ უერთებდა დიდი ქართველი პოეტი თავის მძლავრ ხმას ერთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას.

არც ის ფაქტია დასავიწყებელი, თუ რა დაუნდობლად ებრძოდა პოეტი სოფლის მყვლეფავ ჩარჩ-ვაჭრებს, მედუქნეებს. მას საუცხოოდ ესმოდა ნამდვილი ვაჭრობის დანიშნულება ერის მოლონიერებისა და განვითარების საქმეში, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, სისხლისმწოველი წურბელები როგორ აჩანაგებდნენ მთის სოფლებს:

„საცა ოთხი-ხუთი კომლი სადმე სჩხირია, იქვე საყელში უსათუოდ დუქანია დასკუპებული. აზრი და მიზანი მედუქნისა ყველასათვის აშკარაა: უნდა სნოვოს დუქანმა სისხლი და ტვინი ოჯახებისა, — თვით გასუქდეს, ოჯახის მაცოცხლებლის ძალით თვით შეიმოსოს, იმისი ქონი თავად მოიკრას, ხოლო ოჯახს კი, თუ წყალი და ღვარი ნაიღებს, ამაზე დუქანი თავს არ აიტკივებს. დუქანი ოჯახის მეტოქეა და მერე როგორი! — მეტად შეუწყნარებელი, მეტად დაუზავებელი, მეტად უღმერთო და თავმოყვარე. დუქნის დაუცხრომელი წადილია — ოჯახის ნანგრევებზე თავისი დიდება აღმართოს, თავისი ბაირაღი აიფრიალოს!..“

ამავე წერილში (**„თიანური ფელეტონი“**) ვაჟა შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ ხევსურეთს თავისი სახე, თვითმყოფობა არ დაეკარგა: **„თუ ხევსურებმაც თავიანთი „ტალავარი“ ნაყიდ ფარჩისაზე გაცვალეს, მაშინ ყოვლად შეუძლებელია ხევსურეთში ხევსურების არსებობა“.** აქ მხოლოდ გარეგნულ ნიშნებზე, ტანსაცმელზე როდია ლაპარაკი; მთიელთა დიდ ქომაგს აშინებდა ის, რომ ხევსურები მშობელ ნიადაგს არ მოსწყვეტოდნენ!..

თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვა ამ და სხვა მსგავს გაფრთხილებათა წაყრუებას, ამჟამად ყველასათვის ცხადია.

სატირისა და იუმორის კუთხით საგანგებოდაა შესასწავლი ვაჟას უმშვენიერესი პროზა. რატომღაც სათანადოდ არ არის შეფასებული მოზრდილი ზღაპარი **„მუცელა“**, რომლის გმირი — მუცელა — თავისი

(დასასრული შე-5 გვ.)

ვისზე და რაზე რა თქვა ვაჟამ

● **60 წლის საბჭოთა საქართველოზე:** ვერ შეაფერხებს შენს სვლასა მთელის ხმელეთის ძალია!.. რა საამური დრო არის, რა საამური წამია!

● **ანგისაბჭოთა პროპაგანდაზე:** რკინა არ კვდება მოწამლვით, კბილს რად იღალავს გველია?

● **ქართველ მოჭადრაკე ქალებზე:** ამ ძუვის ვეფხვების გუნდსა არ მაპშორდება თვალია!

● **კერძომესაკუთრეზე:** სულ თავისაკენ რად ითლი, ცოტაც ქვეყანას არგია, რო თამამად ვსთქვა მაშინა: „არ მეწუნება, კარგია!"

● **მუქთამჭამელზე:** გწადიან — ბარში იცხოვრებ, გწადიან — წახვალ მთაზედა. მოგშივა? არას იდარდებ, გაიკვებები მზაზედა!

● **ზოგიერთ ბრიგადირზე:** როგორ ვერ ჰხედავ გვალვისგან დამწვარ-დაბუგულს მიწასა?!

● **ხალხმრავალ ქელეხზე:** რა ამბავია, რა მოხდა, რამ შეაძრწუნა ქვეყანა? თავი-თავს ამდენს ქალს და კაცს რამ მოუყარა ერთგანა?!

● **გამოუსწორებელ ხულიგანზე:** ბეჩავმა იმისმა მამამ რისთვის შეირთო ცოლია? არ სჯობდა, ვაჟის მაგივრად, ძაღლი ჰყოლოდა ბროლია?

● **ზოგიერთ ორატორზე:** ახ, რა ცუდია, რა ცუდი გზაარეულად მსჯელობა!

● **ლუდის ბარში დილიდან საღამომდე მსხდომ ახალგაზრდებზე:** უჯიშო-უხეირონი გამოსადეგნი რაშია?! კაიბიჭობას იჩენენ მარგოკა ლუდის სმაშია!

● **ცინიკოსებზე:** უმსგავსო მათი სიცილი ეკლად მეხვევა გულზედა.

● **ზოგიერთ ნაკრძალზე:** აქ ხომ სულდგმულსა ვერ ნახავთ: ჯიხვ-შუნთ, მგელ-კვერნას მელებით, გადაკარგულან, დამთხვარან დევთ მოუსვენრის ტევებით.

● **რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ გაქცეულზე:** სისხლით ჩვენი ხარ, სულით კი სხვას მიეკედლე რადაო?! ჩვენთან შაები უღელში, საით მირბიხარ, სადაო?!

● **მომხვეჭელზე:** ჰხვეჭ, ჰყლაპავ, რასაც მოხვდები, რასაც მოავლე ლაშები, ბევრს გაუსქელე კისერი, ბევრს გაუდიდე ფაშვები!

● **ზოგიერთ იუბილარზე:** მინდა, რომ გაქო, მაგრამა ენა არ მომდევს ტიალი!

● **მკვეხარაზე:** ვაი, შაგირცხვა კაცობა, მკვეხარავ, გულით ჯაბანო!

● **ამინდის ბიუროზე:** მე მისი არაფერი მწამს!

● **სასმელ წყალზე:** შენმა სურვილმა დამლია, შენზე ფიქრმა და სევდამ!

● **პინოჩეგზე:** ადამიანის ხორცსა სჭამს პურად, ადამიანის სისხლსა სვამს წყლადა!..

ვაჰ, ხიდო, ხიდო, რა გითხრა,
უგნურის ხელით ნაგებო!

ბალღი რასაცა ვხედავდი,
იმასვე ვხედავ დღესაცა.

(დასასრული)

სახელოვანი წინაპრის კარიკატურულ სახეცვლილებას წარმოადგენს და, ჭამის გარდა, არაფერი ახსოვს. აქ ჭეშმარიტად რაბლესეული სიმსუყითა და ელვარებით არის დახატული ძმებისაგან გამდგარი მუქთახორის უაზრო ცხოვრება.

გავიხსენოთ, რამდენი საუცხოო იუმორისტული პასაჟია **„ჩხიკვთა ქორნილში"** ან კიდევ **„სათაგურის"** პერსონაჟთა — ფიცხელას დასახსნელად ახუნძლული წრუწუნების — თუნდაც მხოლოდ სახელები ჩამოვთვალოთ: ცელქა, ფხორა, კუდა, ცქმუნა...

უთუოდ გულმოდგინე ანალიზის ღირსია **„ერემ-სერემ-სურემიანი"**, სადაც ღრმა სიმბოლოებია ჩადებული და გროტესკის მომარჯვებით, ჩვენი ხალხის არაერთი უჭკუო და სათაკილო საქციელია გაკიცხული.

ან ავიღოთ ძველი მთიელების ერთი ჩვეულება — დამარცხებული მტრისათვის მარჯვენის მოჭრა და ქავციხეზე დაკიდება. არ შეიძლება, არ გაგვეღიმოს, როცა ერთ მოთხრობაში (**„ჩვენი მამალი"**) ამ წესის თავისებურ პაროდირებას ვხვდებით; დედლებისა და კატისაგან მოგვერიებული ლეგა ქორი ასე ემუქრება ყოყლოჩინა მამალს: **„მოიცა, მამალო, თუ შენი ჯავრი არ ამოვიყარო და ჩემებურად, ქორულად ნაბუერი და ბდღვერი არ აგადინო, თუ შენი დეზები აქ, ამ ვერხვის ტოტზე არ ჩამოვკიდო"**.

ვაჟას არაერთგან გამოუთქვამს გულისტკივილი თავისი უკიდურესი ხელმოკლეობის, მუდმივი სიღარიბის გამო. ყველაზე შთამბეჭდავად, თან ხუმრობის ტონით შეფერილი, ეს დუხჭირი ყოფა გადმოცემულია სატირულ-იუმორისტული ხასიათის საკმაოდ მოზრდილ, დაუმთავრებელ ლექსში **„მოგონება"**. აქ აღწერილი ამბავი, ერთი შეხედვით, მართლაც სასაცილოდ ჟღერს, ფრიად დამაფიქრებელი და ჩვენი ერისათვის ამდენადვე სამარცხვინო რომ არ იყოს. მცირე ფრაგმენტიც საკმარისია, რათა ცხადად ვიგრძნოთ ვაჟას დაურიდებელი ირონიის ძალა:

შეწუხებული ერთხელა სიმშილითა, სიტიტვლითა,
უსვენებლივ ჩამოვიჭერ ქალაქშია სირბილითა,
ჯერ-ჯერობით გაჭირვება ვერვის ვუთხარ სირცხვილითა.
ბოლოსა ვსთქვი. ჩემს ვაებას ყველა შეხვდა სიცილითა
და მომიყვენ დარიგებას ბუკითა და ნინწილითა,
პოეტების წესიაო — უნდა მოკვდენ სიმშილითა,
მაშინ უფრო მათი ჩანგი ჩვენ დაგვათრობს სიტკბილითა...

სატირის ელემენტები საკმაოდაა გაბნეული ვაჟას უმდიდრეს პოეზიაში და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ მის ეპოსში ერთმა უცხოელმა მკვლევარმა, სხვა თვისებებთან ერთად, მისტიური იუმორიც დაინახა.

ძნელია, კაცს დაავიწყდეს ვაჟას წკიპურტები, თავის დროზე, ერთ სატირულ ლექსში, განდიდების მოყვარულ ფსევდო-მოღვაწეებს რომ უთავაზა და რომელმაც, დღესდღეობით, კიდევ მეტი ძალა და სუსხი შეიძინა:

„იუბილეი" გახშირდა, როგორც მაისში რწყილები,
ბედნიერი ხარ, სამშობლოვ, ბედნიერი გყავს შვილები!

დაცინვა მთლად გამანადგურებელი ხდება ლექსის დასკვნით ნაწილში, როცა ვაჟა საქმეგამოლეულ ადამიანებს მიმართავს, ვირი რაღა გამოსატოვებელი იყო, ბარემ იმისთვისაც დაგედგათ თავზე დაფნის გვირგვინიო და დიდყურასაც იქვე ახასიათებს:

რამდენი შრომა მიუძღვის მწვანილის მოტანაშია,
ყროყინში, ნიხლის ქნევაში, გვერდების მოფხანაშია.

მცირე წერილში, ბუნებრივია, ოდნავ თუ მივანიშნებდით ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი კლასიკოსის სატირული ნიჭის ზოგიერთ თავისებურებაზე; ერთ რამეში კი შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ — შთამომავლობისათვის მუდამ სასარგებლო იქნება, თუ უფრო ხშირად და დაკვირვებით გადაიკითხავს გენიალური პოეტისა და მოაზროვნის მადლიან სტრიქონებს, საიდანაც ვაჟას ღიმილი და მრისხანება გამოკრთის.

ეგზარ კვიტაიშვილი

აი, ეს ჩემი ოჯახი,
ჩემი ციხე და სახლია;
მოგრძანდი, როგორც ძმა ძმასთან,
ნათლიმამასთან — ნათლია!

წაჰსვლია ძველი ილეთი,
წყლულად ჰქცევია ტყავია,
ვაჰმე, რა საბრალო არის,
რა ძნელი სანახავია!

ქუჩი

ბალახი ვარ მთისა, ერთს დიდ სალს კლდეზე და ქ. თბილისში, ლევან გოთუას ქუჩის №№ 16-20 საცხოვრებელი სახლების აივნებს თავშეფარებული.

აქედან ხელისგულივით მოჩანს ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მომავალი, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მოასფალტებული, ამჟამად მოთხრილ-აოხრებული გზა-თხრილი. ესაა სანახევროდ დამთავრებული, ჭათავმოხდილ-მიტოვებული და საბურთალოს ბაზრისკენ ამომავალი, უშუქო და საცალფეხო, მინგრეულ-მონგრეული, ეზოსა და მიწას დახარბებული, მობინადრეებისაგან საცოდავად შევიწროებული გზები და კერძო მობინადრეებისაგან სანაგვედ მიჩნეული ხევი.

ალბათ, სწორედ ასეთი გზა ჰკონდა წარმოდგენილი დიდ ვაჟას, როდესაც ამბობდა: **„გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვიწრო ბილიკი კლდეზედა? სავალად მეტად ძნელია, ფეხს ძლივ აცილებს ფეხზედა“.**

მე კი ამ სტრიქონებს ასე გავაგრძელებდი:

ქვემოთ ჩანს დიდი კოტპუსი —
ყვავების ბუდესავითა,
ქვეშ უდგას წუმპე, ტალახი
სამეწყრე ფუძესავითა.

სარდაფში ჩასვლა თუ გინდა,
ქვა გადააგდე სანიჭი,
თორემ, იცოდე, დაგღუპავს
ერთი უმარჯვო ნანიჭი!

მზეო, დამაშუქე! წვიმავ, დამაწვიმე! სარდაფებო, დაიფარეთ ჩემი ფესვები! ლაღად მონავარდე „ჟიგულებო“, ეცადეთ, ჩემს თვალებს არ დაანახოთ, როცა უცოდველად ჩაემსხვრევით ხოლმე ქვემოთ მაცთუნებლად ასფალტმოსხმულ, მოუთავებელ-დაუმთავრებელ და უსულგულოდ მიტოვებულ გზაზე! ჩემს ყურებს ნუ გააგონებთ ზემოდან ჩამომავალი, გზა-კიბეებიდან ჩამოკოტრიალებული ადამიანების ვაი-ვიშსა და გინებას! დამბადებელო, დამფარე, შეიბრალე უნაყოფო, კედელზე დაკიდებული ქუჩი!..

ქუჩის ჩივილი ჩაიწერა
რომან მახათაძემ

ხმა სულეთიდან

დიდი ვაჟას გარდაცვალებიდან 66 წელი გავიდა. ბატონ მერე ვაჟას მთაში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ და, სამწუხაროდ, ზოგი რამ საზიანოდაც. ზიანი ვაჟას პირად მემკვიდრეობასაც შეეხო — მისი სახლ-მუზეუმი საძირკვლიანად დაანგრიეს და სრულიად ახალი ოთახები ააშენეს. ამას, ალბათ, სარესტავრაციო სამუშაოდ თვლიან მავანნი და მავანნი.

მე მაინტერესებდა, რას ფიქრობს თვითონ ვაჟა ყველაფერი ამის შესახებ, და „ნიანგის“ რედაქტორს ვთხოვე, ერთი-ორი დღით მივევლინებინე სულეთში იმ იმედით, რომ დიდი ვაჟასაგან ინტერვიუს ავიღებდი. რედაქტორმა ცივი უარი მტკიცა: შენ იქიდან ველარ დაბრუნდები და მივლინების ხარჯები (განსაკუთრებით ტრანსპორტისა — კოსმოსის გავლით!) წყალში ჩაგვეყრებაო! ავდექი და, გაბრაზებულმა, ამინაზინის დიდი დოზა მივიღე!.. მკვდარივით დამეძინა და სიზმარში თვითონ გამომეცხადა დიდი პოეტი. თუ დამიჯერებთ, ქვემოთ დაბეჭდილი სტრიქონები მის მიერ ნათქვამი გახლავთ, სათაურიც მისეულია.

ალექსი ჟინჭარაული

ვინაც ჩემ წილ-ხვედრს უმტერა, ვინაც მას ცრემლი ადინა,
ობოლსა, უპატრონოსა, მაგრამ მართალსა ცამდინა,
მე გავცემ იმას პასუხსა, უფლის წინაშე მდგომარე,
ბოროტთა საქმის ამწერი და დაწვრილებით მხსომარე!..

ვინც ქვეყნად დაიარება ფიქრით შავით და ბნელითა,
ვინაც ეხება ბუნებას ძმისმკვლელ კაენის ხელითა,
ვინც აბინძურებს მთის წყაროს უწმინდურ ბაყაყ-გველითა,
თვითაც რომ მოიცელება სიკვდილის ბასრი ცელითა,
მე გავცემ მაშინ პასუხსა ჩემის სიმართლით მთელითა!

ქართველი კაცი წინაპრებს პატივსა სცემდა მარადა,
მზად იყო იმათ ნაღვაწის დასაცავ-დასაფარადა,
ეხლა კი ვხედავ, ზოგ-ზოგებს არ მივაჩნივართ ჩვარადა,
ამით გულმოკლულს მოხუცსა ცრემლი მომსკდება ღვარადა.

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია ეს უცნაური შარადა:
ზოგ-ზოგი უკეთურები რად ამეკიდნენ შარადა?
რა დავაშავე ისეთი, რომ მომივარდნენ კარადა,
სახლი რად ჩამომინგრიეს, რად ეცნენ ნიავ-ქარადა,
ჩემი მწირული ავეჯი რად გამოყარეს შარადა?!
ვაი თქვენ, „რესტავრატორნო“, ჩემს კარს მომდგარნო ჯარადა!..

რატომ დატოვეს მთიელთა თავის სახლი და კარია?
მთას — ჯიხვ-არწივთა ბინასა — რად ამჯობინეს ბარია?
ასე რად გამოიმეტეს წინაპართ ნაოფლარია?
ჩემი გმირების სოფლები რად არის ნაოხარია?

ფიქრი წამიღებს და, ბოლოს, დაღალულს დამეძინება,
სიზმრად თქვენ ვნახავთ, გულზედა მზის სხივი დამეფინება,
წალმავე შემობრუნდება სოფლის უკუღმა დინება:
ეგება ახდეს სიზმარი, თუკი უფალმაც ინება!

წუხელაც ვნახე სიზმარი და, რაცა ვნახე, ეს არი:
არაგვის პირ-პირ მივდივარ თავმომწონარი მხედარი.
ლურჯაზე ვიჯე, მიჰქროდა, მეგონა, ვიჯე ქარზედა,
სამი დაენთო სანთელი ჩემის ფრანგულის ტარზედა.
შუქი ციური ჯვარადა გამომესახა ფარზედა.
ყოილი, ხშირი ყოილი დაფენილიყო გზაზედა.

ცა თვალს უცემდა სატრფოსა, გრიალი მოდის შორითა:
მოდის ხმა ჟრიამულისა მარჯვნივ და მარცხნივ გორითა, —
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან ფშაველ-ხევსურნი რბოლითა!..

ივსება ფშავ-ხევსურეთი ქორ-შავარდნების ფარითა,
გზას უკურთხებენ დროშები ჟღერით, აწვდილის ტარითა.
ეეფხვნი მთას უბრუნდებიან, მოიჩქარიან ბარითა!

როშკას მოიდენ ხევსურნი სუმელჯაურნი ცხრანია,
ამღასა — ბათაკის ძენი, ჭინჭარაულნი ძმანია,
გუდანელთ გამასძღოლია ხოშარეული ხარია,
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა, თან მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა ღულელებიცა სტანია,
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ შააზირზოლა მთანია.

ვაი ჩვენს ხოდაბუნებასა!
ვაი საბრალო ვაზეები!

ძნელია შურით აღძრული
ბრაზი და გულის ქავილი.

ვის რა ათქმევინა ვაჟამ

● **კერძომესაკუთრეს:** მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა. მთაში — მთა, ბარში — ბარია!.. ყველგან სახლი მაქვს, საცა მთებია, საცა სალი კლდე ანაგებია, საც სანადირო ალაგებია!

● **მექრთამეს:** რაც ერთხელ შემყვარებია, უმტკიცესია რჯულზედა!

● **პროტექტორს:** ესა მწყინს მხოლოდ, რადა ვარ სხვის საწველელი ფურია?

● **ანონიმური წერილების ავტორს:** ნეტავი რისთვის ვიცოცხლე, რისათვის ვათენ-ვაღამე?

● **დაჭერილ ბრაკონიერს:** ღმერთი გამიწყრეს, თუ კიდევ მე ტყეში შევდგა ფეხია, ნადირის მოსაკლავადა ვიხმარო რამე ხერხია!

● **უსაქმურს:** ვაი, რომ საქიოსაც გინება დამიხვდებაო!.. აქ ჩემი უქმად ცხოვრება იქ თვალწინ დამიდგებაო!

● **მოხსნილ კარიერისტს:** მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა, ვაჰმე, რა მეტად ძნელია! წამლობას ვეღარ გამიწევს ეხლა ცრემლები ცხელია!..

● **ლოთს:** ლოთს მეძახიან ჯალაფნი, ლოთსვე მეძახის ქვეყანა, ვარ და ვერ დავიარავებ, ლოთად მიცნობენ ყველგანა!

● **უმადურს:** უმადურობის ისრებით გამსჭვალული მაქვს სხეული. საშინელია, ვინც იცის, უმადურობით სნეული; თვალით არა სჩანს, რომ გული ცრემლის ტბად არის ქცეული, არ შაიძლება კაცისთვის ჭირი იმაზე წყეული!

● **ბაზარში შესულ მყიდველს:** ვიწვები, გარსა ცეცხლი მარტყია, ალს მცემს თვალ-პირში გაჩაღებული!

● **ვალუტით ნაყიდ გამოუყენებელ მანქანა-დანადგარს:** მე კი აქ უნდა ვლპებოდე მოუხმარების ძალითა!

მგლური დააწყვეს ნაბიჯი, მოკლედ ამოვლეს გზანია.
თითქოს ბევს არაგვისასა თან მოსდევს ხალხის ღვარია,
ფშავლის შვილებიც მოიდენ, სულქთმა თან მოჰყვა ჩქარია,
რადიო-ტელევიზორიც ნობათად მოუტანია;
რა საამური დრო არის, რა საამური წამია!

შატილს მინდია მოიდა ზერდაგით რვალიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგულით, მკლავითა ფარიანითა,
ირემს ჰგავ მინდის წითლაი შუბლითა მთვარიანითა.

მინდიას მოაქვს ამბავი, სიტყვა ქართული, გზიანი:
„ქავ-ციხეთ ნულარ ეშინის, აღარ მოუვათ ზიანი,
მთას უბრუნდება პატრონი, დღე გითენდებათ მზიანი!“

სიზმარი უმხრო არ არის, ესეც იქნება მხრიანი
და ეს მალაღებს, მახარებს, გულზე დამესხნენ იანი.
თქვენს გამარჯვებას რომ ვიგებ, გრძნობა მერევა ღვთიანი,
ვეღარ ბოგინობს ფიქრები ავი და ავი-ზნიანი,
ვარ თქვენთა გამარჯვებათა მოწილე, თანაზიარი.

ბევრნი მახარებთ, თუმც ზოგნი მასმევენ გესლს და შხამასა;
ათასჯერ მითქვამს და ისევ ვამბობ და ვიტყვი ამასა:
სიკვდილი უჯობს ქართველსა ქვეყნად სირცხვილის ჭამასა!

ჩვენს მანდილოსნებს ვენაცვლე— ნონას, ნანას და ნანასა.
და ჩვენს მეორე ჩემპიონს მაია ჩიბურდანასა,
ქეთევან ლოსაბერიძეს, ამორძალს მშვილდოსანასა,
ღიდება თქვენებს მშობლებსა, ვინც გიმღეროდათ ნანასა!
გაზრდისღა კიდევ მშობელი ასულებს თქვენისთანასა?

თავს შემოვევლე „დინამოს“, გუნდსა ფარ-შუბიანასა!
ვაჟკაცის წესი გცოდნიათ, არ ჰგავხართ ჯუბიანასა,
აგერ რამდენი წელია, აოცებთ ცა-ქვეყანასა,
ნებისმიერ „მტრის“ მინდორზე ჩააბამთ ჩარბუზანასა!
გაზრდისღა კიდევ მშობელი კაი ყმებს თქვენისთანასა?

ვენაცვლე ნოდარ ახალკაცს, ახალს შეგვასწრო ხანასა,—
მეტოქის შეთავაზებულს ხსნის ყველა ამოცანასა,
ვენაცვლე გუნდის დირიჟორს, ყიფიანს ალვისტანასა,
ვინაც „ვარსკვლავებს“ ასწავლის ფინტების ანა-ბანასა.

ჩვენს ტანადაბალს გუცაევს, ბატარას, ბაჩაგანასა,
ვინც ისე არევს დამცველებს, ვით ქარბორბალა ყანასა,
დარასელიას „ფინთ“ ფინტებს, გადამწყვეტ გოლგატანასა,
ჩივაძეს, ორგზის კაპიტანს, შავ-ულვაშ-შავგვრემანასა!
გაზრდისღა კიდევ მშობელი კაი ყმებს თქვენისთანასა?

„არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა“,
ბეჩავთან ყველა ლომია, ვენაცვლე მძლესა მძლეთასა,
რამაზს და შოთას ვენაცვლე, კარგებ დაუზრდავ დედასა!

ვენაცვლე ოთარს, გოლკიპერს, მაგის ბუზღუნს და წყრომასა,
სულაქველიძის დრიბლინგებს, გაძვრომა-გამოძვრომასა,
სვანაძისა და თავაძის თავდაუზოგავ შრომასა!

ვენაცვლე ნუკრის, გიორგის, ჩვენს ნოდარსა და თამაზსა,
მაგათ ტევებას ვეფხვურსა, ცემა-ფარებას ლამაზსა!
ღმერთმა უკურთხოს ამაგი, ვაჟნო, თქვენს დედა-მამასა!
გაზრდისღა კიდევ მშობელი კაი ყმებს თქვენისთანასა?

კახის და სერგოს ვენაცვლე, გივის... და ყველას, ყველასა,
ერის ღირსების დამცველად ვინც ფრანგულივით ელავსა,
ვინც თავდადებით მაგონებს ჩემს კვირიას და ლელასა!
კარგებო, უფალთ-უფალსა თქვენსას გამოვსთხოვ შველასა!

ჩვენი ლამაზი ქვეყანა ამაყობს თქვენის რაზმითა!
„მადა ჭამაში მოდისო!...“ მე ერთი რამე სხვაც მინდა:
ის სუპერთასიც მოგეგოთ!

ვაჟა-ფშაველა. მთაწმინდა.

მეშიერ-ტიტველი გაკვდიდრდი
მოუღოდნელად, ხელადა
და ეხლა უფრო ბეჭრს ვყვირი,
ხელში მიპყრია ხელადა.

რა ამბავია, დიაცო? —
შარდალს აკლია ხვაწყარი!

სიტყვა გაღვაძდეს ერშია!..

●

ბა-კი არ არის ბიჭობა,
რომ გამგაბრეგდეს, ჰმაგრობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდეთ,
თავისთავადაა ჰკარგოდე!

●

არც ის მგონია ბიჭობა,
ვისაც ერევი, ახრჩობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდეთ,
რომ სხვის დამრწყალაა სწამლოშდე!

●

არც-რა ბიჭობა ეგ არი,
მაძღარი ჰმღერდე, ჰგალობდე,
თავი მოგქონდეს სხვებზედა
და ამის გამო გაშარობდე!

●

მამალი როცა ბუღუნლობს, —
ინყო მისებრივ ფლერო,
შერნილი თუ მოსდის, თორემა
ანე რამ გაიბეალო?!
მისი საქმეა იყიელოს,
ქათმებში ჰქონდეს კერო.
ბა, რა მისი საქმეა
ბუღუნლებშორის ფრნალო?!
სად მათი ტკბილი გალობა,
სად მამალაინნნა ენაო?!

●

სახელი რჩება კაცისა
ავად ან კარგად სათქმელი
და ზოგისა ხომ გაკერნა,
ვით ქარაშეალში სანოელი!

●

რამდენჯერ ადამიანნი
არ ეიცით, რასა ეშარებია!

●

სხვას ყველას ეპოვებთ, სახელს ვეძ,
თუ ერთხელ დაგვიკარგა!

●

სული გასუქდეს, ბევრნი სჯობს,
ჯიდრე გასუქდეს ლეშია!

●

ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა,
ვისაც რაშ დაგვითესია!

●

ბორნეოს წმიდად ბეინერს
ყველა ნანილით ნგრილითა
და საქართველოს სახლეურებს კი
ლეკას დაუნყებს კბილითა,

●

კეთილ თანა სდევს მოსისხლეე,
ბორრაი ამირებული!

●

დაჭერრეტბუნენ მრავალნი,
ატაკამუნებენ ყურანსა,
ტაყვი გაჯარეს ქვეყანას,
ჯიბეს ოფრიან ფულებსა!..
კაცდვად ომათე სოფლიან,
ამ ხალხს მეარეველ თულებსა!..
ქვეყნის ქაკვა-ბერნობას რა ვუთხრა,
ქვეყნის საბარალს ჩქისეს, —
ოუდას საკმლს უამეყენ,
ჯეკარზე აეკაბენ ქრისტესა!..

●

ენა ქარქაშში გეეჭიროსთ,
ადვილ ნე იტყვით სიტყვასა,
ადვილ ნე იტყვით ეფეკიზე
„არა ვარკაო", იმასა!..

●

...სცხვენოდეს ახალულებსა,
კაც ოყოს, თუნდა ქალი,
რომ მოეკი მათი არსება
ფუქმა საგნებმა დალია.

●

სად ია-ვარდის ოცნება,
სად „როთქ-არშინის" წერალი?!
სად ანგელოზი, სად ქაჯის
ოინბაზური ტრიალი?!
ათასი მიეთ-მოეთი,
ფერობა, ენის ტკბილეალი,
ათასგან ჩაბრომ-გაძრომა,
ცხოვრება ცუნდრუკაანი —
ღრეჯის, ფუნების ლოკვრისა, —
უმსგავსო, მუნუკაანი?!

●

რა არის ზოგის სიცოცხლე,
ნეტავ რისათვის ჩნდებაო?
იცოცხლებს ჭიასავითა,
ქიასავითვე ვედებო.
იქ ხალეის დამეფდარი
საჯარისაც სდებენო.

ᲕᲘᲜ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲝᲗᲐ!..

ᲜᲘᲐᲜᲒᲘ ᲓᲣᲛᲔᲗᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ — მეფე ერეკლეᲗ, ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, ძალღაა ხიმიკაურს წყლის ხეიმა ეუბიძა. ძალღაას უარი უთქვამს წყალიაზე და სამგაიერიდ ხმალი უთხოვია. მეფეს ბეეფოლეკანი მამაცი მეომრის სურეელი.

რა ქონებს ბაბეარი ეწყი ყოფილეაო ნიანგ ბრძოლაში მყოფი ხიმიკაური, რომელსაც მეეფნეობისათვის ნაკეკანდი ეკალი, წყლის ხეიმა კი ეკვე სიმდიდრე იყო, ფეოდალი ხდებოდა ძალღაა ეკ... ეკიო თქვა, სამშობლოს დასაკეკი იარაღი ამოკობინა საკეთარ კეთილდღეობას.

იქნებ ნაღაშეკ/ ძალღაას ეოლო უსაკვედრებდა კიდეეც:

... ლაშქრობით რა მოგიგანავ, ტანზე ნეკლულებს მეტი-ა?
მარტო ხახეელ რას ეიზამს, თუ ხარჩოც არა მბეკეტა?!"

და მერე ქალ ქალთას არ მოიშლიდა და დაამატებდა: „ხომ ხედავ როგორ ცხოვრობენ ეეფნიან, ჭაკელებს და ადშინის ოჯახები, ბაკადილი აყიკი და არდაანი აქვთ ასმბეული, ფიმაბატალი ეამჩვენებთ ტანსა, ბრილ-ბაბაა ეუნათებთ სახლსა". მაგრამ არა გეგონია, კეი ეკმა „ღმერთად საკრობი" ეოლ ეკოოკეობდა.

მთაშრიმდაზე, ეკლედ გამოსახელეს ეტბიალი ქეეს ქვეშ გაბისკვენის დიდებული ნეშრეი, მის საფლავს ზიზიალიპეკენი არ ეკადნენ, რადგან კეი ყმა იყო, ქვაზე წარწერეთი „ვეკა-ფშაველი" რიდისაა და მოკრძალების სახაი ხდება. მას ქვეკეის ერთგეულება კიკოობს საცნობარად მიანნდა.

უკვე დიდი ხანია, ნიანგმა თავის მეგზურად ვეკა-ფშაველს სტუკვები ირჩია და ამა თუ რა იოიოხის ფკკაოკეს ქედად ამერეკეს. ახლა კი თვით მის ეეფოს ეწვია და...

სწორედ რომ ერთგულად და ქვეკეის სიკვარულეა ეშეარულებნი ჩვენებეტ კაცს ამ ხუთი წლის წინათ ნათქვამი სიტყვა, — ასე ფიიწყო მასთან საუბარი პარტიის დეეფოის რაკკომის პირველმა მდივანმა **ამბროკ კერეხელიძემ.** — ბეეტრე ხუთწლეულთან შედარებით მეეფოში სახეეფლოების მიეყოდეთ 14,675 ათასი მანეთით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რითაც ხალხის ტკბმაა 38 პროცენტს მიაღწია. ამ მონაკეეის ცალ-ცალკე გამოდეკის გაბვეტ ვკრეთები, რადგან „ნიანგის" ჭკოიბეელი. როდესაც ყურანეს ყადაბლის, ღიმილის კრეგ ვეფეკანეზე დადგომის გაწყეოლილები ეკედეკა და არ ეუკვის ამბავი ეკეთილ ეეფნეოსა. „ნიანგის" მეთბეკეელი ეკედ ეკეეკანეზე არ დადგებიან, რადგან ეკეგვიენ, რომ ამ ხუთწლეულის პირველ ოთხ თვეში მსხვილფეხა რეპოსანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულდა 109 პროცენტით, ჩვენმა ბეეტხვრეებმა კი, მართლაც სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს, ბასალეულ წელთან შედარებით 2.500 ბატკნით მეტი მიიღეს. რა თქმა უნდა, ასეკთი მიღწევა გაბარეკეს ადვილ, მათ შორის „ნიანგის" მეთბეკელსაც.

— მაგ, ჩვენს მეთბეკელებს გადავეცემ. რომ მარმანდელთან შედარებით 2.500 ბატკნით მეტს მიიღეკენ?

— რატომ მარტო ბატკანს? ძმესაც და ყვეესაც, ხორესაც და მატყლსაც! — შემდეგ კი უკვე სერიოზული ტონით ამრეკეთებს. — ნეგატიური მოეკეენები რაიონში „ეუბადეკ მიეკეენილი", მაგრამ ჯერ კიდეე ბოეგობის. ეკმაც დიდი ბრძოლა გვეკის, ნეგატიური მოეკეენების წინააღმდეგ ბრძოლას მხარი ფდგანან მთელი რაიონის მშრომელები. ჩვენი ბტერი ნაკადი აკეარი ეკალური ეკალის ეკანში, ისეთ ლეკნს გამოეთქვამენ, რომ საკვეყნოდ მოკრნან თავს, მასხარად აეგდეკენ.

ასე რომ, ჩვენეკ გვაკვს ზეპირი ინფორმაციეტი ეურნალი, რომელსაც ხალხი ქმნის, ხალხი რედაქტორობს, ხალხი ავრცელებს, რომლის ტირაჟიკ განეკანაზღვრეულია, ბოლო ღირებულება ფასდადებეტელი. ქვეკეის ირგეტლ დანეიმა არა ანკეკ, როგორც ეკდი ინტერვიუ:

„დაპარი, ნუ შეიწყალეტ ქვეკეის სიკეთის მპარავნო!"

ანდერძივით ნათქვამ ამ სიტყვებს კიდეეაც ასრულებენ ჩვენი რაიონის მშრომელები.

ᲐᲮᲘ, ᲛᲐᲒᲔᲗ, ᲐᲠᲐᲐᲒᲔᲚᲔᲑᲗᲐ..

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონში იმდენი კეთილი, რამდენიც არაგვია, ფშაელს არაგვი, ხეკსურეთის არაგვი, გუდამაყრის არაგვი და მთიულეთის არაგვი. არც ის იქნება ტყეელი, თუ მას პოეტებს არაგვად მოეანოლაკეთ, რადგან ქართული პოეზიის საგანძურში მისმა ბეგრიანებულმა ტალღებმა მრავალი მარგალიტი მეკაკოა.

ეკკვდავეკის ეწყარე ყოფილა იგი, რადგან ინ სამყა რაინდს, რომლებმაც ბრძოლად მიმავლებმა არაგვის პირას ჩაიქარეწეკს, მისი ჩქერი ეგმაზის წყალეკეთ ეკკერათ და გაეკკდადგნენ კიდეკ.

ეს მხარე იყო სასარაფლოს მიჯნა და სამანი, ბასტინი და თავშესაფარი, ხალხი აქ იხიზნებოდაა ძნელებდობის ყამს და ბტერს გრიგალეკეკი ატყდებოდა, როგორც ეკ დრის მოიხლეთებდა.

სად მიკარბი, ნეტავ, ბელელავ,
სასჯელს სად გავმორები?!

ფოლადს კეკრავდნენ, ჭაოდნენ და ჯარგვდნენ, ცხვარნი და ძროხნი ამრავლებდნენ. რა ბმიმე სათქმელია „ნამოფლარნ"! ალიდ, როგორ მომიყოლეთ, „ეთვის ნიმ-ეკეთის ეაწარავა ძალეი ეოფილეა ჩვენეკ ეეფნეოსა". ნათქვამი სიტყვები და ეკკეთიდეკ ეთქეა, რატომ გაწარეკ თავისი ბიმ-ეკეთი? რა იყო მიზეზი? და ისეე ეკვენმის ვაკას ბეზეეი: „**სამარილის თეკმილი, არ ეზიარის, ეკნეკეს, თუ რაზე ეაბდეკა...**"

ერთმა სამგორში ჩამოსახლებულმა ხეკსეერმა თქეა: — ბინდი დამბურეკეს, მაგრამ ბა ვეეო, ვერ მოეკბერეკ, ეზა ადგილეკეთ. ალეკეს ინეერეა ხეკსეერმა, მაგრამ სიმარილესთან ერ ახლია. მამ, ეკმრეკეული მიზეზი ეეზოთა ყოფილა. და ანა მარტო ეეზოთა, აკ ხანრაფ რამდენნიმ სოფელს მხილოდ ერთი ეკონანი ემსახურება, ეკმაშე ხომ ზეიმეტია ლაპარაკი. ფრიად მოიკოკეკეს კოლტეტულ-სადამანათელთნ მუშაობა. ეი, ერთი მაგალითი: გუდამაყრელები ჩიეიან, კინოს კეირაში ერთხელ თუ ჩამოტანანენ, მაგრამ კლუბი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ეკრეკა შეეძლეკეკეთ.

ხეკსეერეთი და გუდამაყარი მოკლეკეკეთა სატელევეზიონ გადაკეცვებს და სხვადასხვა...

მიზეზი ბევრია და, თუ ამას დაეემატებეთ ამ 20-30 წლის წინათ, თითქმის ძალეთ ბარაგი ჩამოსახლების ისტორიას, ყველაფერს არაგვეკეს ნოეტარ დაკბარალეთ!

ახლა ბარეკმ ისიაე ეთქვათ, რა ეკანრიფეს აკეარ ხალხს და რა ეეეურეოეეს.

ეისფერი ეკარანი ეკაადგენთ — არც ბეეტხვეს, გუდაკი ეეზეა გაბმულეკეო

ეარ დადგა საშეკელი! ეატრეეთ ახალი ეკანეთ ეეზეტხეკეეთ — ეკრ ეეზა და ეკრაა ისეკე ეკ ბატონეი, ეკოოოოინტერნატი ეკნდა „ეზეტხეკეეო — აკამბე ეკეეეეს ადგილ და ეკრ მოეეეეეკეკ.

ბარადა, ეენდა ბარისახოეკეს, ეატოეკეეს, ანბობეეს, გეედამაყრეკ და სხვას ეეეუროოს მსოფლიო პირველობას ფეხბურთში ეკსახეეთიდან, თავის ბაეეშეს ასწეკეოს და განალეკეა მისაკეკ, კარგი სახლეიკ ეეზდა და კომფორტული ცხოოეებაკ.

ეენდა და ბარალიკეკ ეარის და ასეკ ეეზეკ!

ეზას ასე დაბეკეთეკეთ ინიეეეკ ეამრთნი, რომ ვინაკ ეკაეკეეეეა, ეან: „**ბოლშე ხალხი ეხეეხავეკ ეპირობებში ეენდა ცხოვრობდეს და ეეეშაობდეს, როგორც ბარმე! ეკ ჩვენი ერთ-ერთი ეკეეკეეეკ ეწინაშეკნელოვანი ამოცანაა".** ეკ ეარის ეკეკეეეეეკ ეეზეკ ეკეეეეეკ ეკეეეეეკ ეკეეეე

(გაგრძელება)

გრიგოლ წიკლაური

ავთანდილ ჩალაძემ. — და ეს მალე იქნება.

— მშენებლობა ამ ხუთწლეულში დამთავრდება, ხოლო 1983 წლის ბოლოსთვის საექსპლოატაციოდ გადავცემთ მაგისტრალურ წყალსადენს.

— ასე, რომ უკვე 1983 წელს თბილისი არაგვის წყალს მიიღებს? — მეშველაო, გაუხარდა ნიანგს.

— წყალი არ გაუვაო, — უპასუხა პატივცემულმა ავთანდილმა და გაეღიმა (იცის, იცის, როგორც აწუხებს ნიანგს უწყლობა), — თუმცა ჩვენს გვირაბგამყვანებს დიდი შრომა ელით — თორმეტკილომეტრიანი ჰიდროტექნიკური გვირაბის გაყვანა მათზეა, ვიცი, რომ თავს ისახელებენ, ძალიან კარგი სპეციალისტები არიან, შრომისმოყვარე და საქმისთვის თავდადებული, განსაკუთრებით გამოირჩევიან **ზაურ ბერძულის, ამირან მოთიაშვილისა** და **გიორგი მაცაბერიძის** ბრიგადები, ვერაფერი უძლებთ, ქვესკნელში ჩავლენ და კლდეს გაარღვევენ. ამავე 1983 წლის ბოლოსთვის ორი აგრეგატის გაშვებაა ნავარაუდევი, ხოლო მომდევნო წელს კიდევ ორ აგრეგატს გავუშვებთ. შემდეგ ჟინვალი დაიწყებს სხვა ცხოვრებას, აქ გათვალისწინებულია აბრეშუმის ფაბრიკის ფილიალის მშენებლობა. ჰიდროკომპლექსის კვანძის მშენებლები ახალ პროფესიას დაეუფლებიან, თუმცა ისევ კვანძთან ექნებათ საქმე. ამჯერად უკვე აბრეშუმის კვანძთან.

გაშენდა, დამშვენდა ჟინვალი. რაც თანამედროვე დაბას ეკუთვნის და ეკადრება, ყველაფერი აქვს — სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კაფე და სასადილო, უნივერმაღი (თუმცა ხშირად დაკეტილია და, როგორც გავიგეთ, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამოც — ვერა და ვერ გამოუცლიათ გადამწვარი ელნათურები).

ჰოდა, ძალიან გაუკვირდა ნიანგს, რომ მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაობა. პირდაპირ რომ ვთქვათ, ვერ არის იმ სიმაღლეზე, რასაც ჰიდროკომპლექსის კვანძის მშენებლები იმსახურებენ. კულტურულ მომსახურებას ვინ ჩივის, არის „მარცხენა“ საქონლის შემოტანის, გადამალვისა და ვადაგადაცილებული პროდუქტების გაყიდვის ფაქტები.

მოშიებულმა ნიანგმა მუშათა სასადილოში შეიარა და დარღვევების მთელ ნილოსს წააწყდა. იქვე კედელზე თვალსაჩინო ადგილას გაკრული, დიდი ასოებით გამოსახული ინფორმაციაც იხილა იმის შესახებ, რომს საჩივრის წიგნი მოლარესთან ინახებაო, მაგრამ, როცა მოიკითხა, მოლარემ თავაზიანად უპასუხა, ეს წარწერა კი არის, მაგრამ საჩივრის წიგნი — დირექტორის ჩაკეტილ კაბინეტში ინახებაო.

ყველა ამ სცენას წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი ესწრებოდა და მდუმარედ ადევნებდა თვალს. ნიანგმა იკითხა, ვინ არისო და, ჟინვალის ჰიდროკომპლექსის კვანძის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი **ლაკონ ივანეს ძე კარიაული** აღმოჩნდა! სიტყვაძვირი ყოფილა განყოფილების უფროსი. როდესაც ნიანგმა ამ უცნაურობათა მიზეზი ჰკითხა, განიერი მხრები აიჩეჩა და ლაკონიურად უპასუხა „აბა, მე რა ვიცი“. იქნებ, ამ კითხვაზე რესპუბლიკის მუშათა მომარაგების სამმართველომ გასცეს ვრცელი პასუხი, ნიანგს კი არა, მუშებს, რომლებსაც ემსახურება ეს სასადილო.

უავადმყოფო ექიმები, რემონტები და ოტაოდენი ნივრის სუნიც

ავადმყოფს რომ ექიმი და წამალი სჭირდება, ეს სადავო არაა, მაგრამ ექიმსაც ხომ უნდა ჰყავდეს ავადმყოფი. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ საქართველო ექიმების ნაკლებობას განიცდიდეს. და აი, ამ წინაპირობის შემდეგ გავარკვიოთ ერთი საკითხი. დუშეთის რაიონში უნდა მუშაობდეს 103 ექიმი. მუშაობს 77. თვით დუშეთის საავადმყოფოში კი 51-ის ნაცვლად 44 ექიმია (საოცარია, დუშეთი ხომ უფრო ახლოა თბილისთან, ვიდრე დომოდედოვოს აეროპორტი მოსკოვის ცენტრთან). 1979 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტიდან რაიონში განაწილდა ექვსი ექიმი, აქედან მხოლოდ ერთი მივიდა საავადმყოფოში. საინტერესოა, დანარჩენი ხუთი ექიმი სხვაგან მუშაობს, თუ?... 1980 წლის განაწილებით აქ ცხრა ექიმი უნდა მოვიდეს. დაველოდოთ (ლოდინი განა მარტო მთებს შეუძლიაო!), რამდენი მკურნალი დარჩება კიდევ უავადმყოფოდ! ან, იქნებ, სათანადო უწყებებმა მეტი პრინციპულობა გამოიჩინონ და ექიმები ნამდვილად წარგზავნონ იქ, სადაც თავიდანვე გაანაწილებენ.

რადგან დუშეთის რაისაავადმყოფოზეა ლაპარაკი, ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ტიპობრივი არ არის და თანაც ძველია, რომ 1979 წელს მისი რემონტისათვის დაიხარჯა საკმაოდ დიდი თანხა და ფაქტიურად არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რათა აღეკვეთათ ნესტიანობა, სივიწროვე და უპაერობა. მთელი რემონტი იმით ამოიწურა, რომ კედლებზე ხის პანელები ააკრეს და კორიდორებში ლინოლეუმი დააგეს.

1980 წელს რაიკოოპუნივერმაღმაც ჩაატარა კაპიტალური რემონტი. მათ ამ საქმეში თავისი მომსახურება შესთავაზა „საქკოოპრემონტსპეცმშენის“ № 9 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი **ა. ხოჯევანიშვილი**, სამუშაოთა მწარმოებელი **გ. ჩარგეიშვილი**). გამოიყო საკმაოდ სოლიდური თანხა — 43.936 მანეთი. დაიწყო კოოპუნივერმაღის შეკეთება და აღმოჩნდა, რომ ხარჯთაღრიცხვაში ბევრი ისეთი სამუშაო იყო შეტანილი, რომელიც შეიძლებოდა არ შეეტანათ ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საერთოდ არც გაკეთებულიყო. დაფიქრდნენ № 9 მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშაკები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ სამუშაოებისათვის ხელი არ ეხლოთ (რადგან გაკეთება არ სჭირდებოდა). ხელი არ ეხლოთ აგრეთვე... ხარჯთაღრიცხვისთვისაც (რადგან ვერ „გაკეთდებოდნენ“). საბოლოოდ კი გაკეთდა ერთი რამ — 3.610 მანეთი.



ჯალაგა აფციაური

ვის სასარგებლოდ?

ცუდი შემნახველი რომ დამკარგავზე უარესია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამიტომაც დარჩა ის ანდაზა უკორექტივოდ.

(გაგრძელება მე-11 გვ.)

ბარიტონები ჯეჯილ ლექსებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დამისხი, დამალევინე
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
რომ ყურძნის წვენად მეჩვენოს
სასმელი შაქარ-წყლიანი!..
თავი გამისკდეს ტკივილით,
ტანმა დამიწყოს ჟრიალი!..
ეგება ჩემი ძალ-ღონე
ჩავკლა მაგ ჯიხვის რქაშია,
ავაწიოკო ცოლ-შვილი,
ხელებს ვიშენდე თავშია,
დეზი ვკრა ჩემსა „ჟიგულსა“,
ვაჭენო, როგორც რაშია,
ტკბილ შხამ-შაქარწყალნასვამი—
გადავირიო გზაშია,
ან მოვკვდე, ანდა მაფხიზლონ
ავტოინსპექციაშია!

●

ქორმა წიწილა წაიღო,
იძახდა „წიავ-წიავსა!“
სხვა წიწილებიც გაჰყავდა
ფერმიდან უცნობ ძიასა!...

●

სოფლად დადიხარ, ქალაო,
მუქლურჯ-რუხწითელთმიანო,
ნეტავი გამაგებინა,
თუ ნორმალურად გთვლიანო?!
გაცვია შავი ჩექმები
და ჯინსი გაცვეთილიო,
წამწამნი შეთხუპნილი გაქვს,
წარბები — აპრეხილიო!..
გამოხვეულხარ ჭრელ ქურქში,
თვალებს გაყოლებ, ნაღვლიანს...
ვაჰ შენ, რო სადმე შემოგხვდეს
ჩემი კბილბასრი ძაღლია!

ვანო ციწცაძე

●

დახლს იქით შენ ხარ, აქეთ — მე,
შუაზე გვიდგას სასწორი!..
მითხარი, რად არ გრცხვენია,
ქაღალდს რომ თითსაც აწონი!
მინდა, მაგ თითზე გიკბინო,
თავს ლაფი გადაგასხაო,
მაგრამ ვერსაით გადმოვედ
ამ სატიალო დახლსაო!

●

იას უთხარით ტურფასა:
უფასოდ მოგწყვეტს ძიაო
და ცეცხლის ფასად გაგყიდის,
არაფრის არ რცხვენიაო!

რევაზ ოსეფაიშვილი

(გაგრძელება)



როზა ბაიაშვილი

ბაზალეთის კოლმეურნეობა (ყოფილი თავმჯდომარე ე. ა. **ბუღულაშვილი**), ამ მხრივ სწორედ რომ „სამაგალითოა“. გასულ წელს მათ იმდენი ნიორი მიიღეს, რამდენიც გეგმით უნდა მიეღოთ. მართლაც რომ დიდი შრომა გასწიეს კოლმეურნეებმა და მათ მადლობის მეტი რა ეთქმით, მაგრამ შენახვით კი ვერ შეინახეს და ხელსა და ხელს შუა გაქრა. ასეთი თვისებისაა ნიორი. მოყვანა ხომ ძნელია, არც შენახვაა იოლი, მაგრამ ნუთუ ეს არ იცოდნენ?!

ასევე დაემართა შატილის პირუტყვის მიმღები პუნქტის გამგეს **ივანე ბერიძიაშვილს**. მან შარშან ჩაიბარა 157 მსხვილფეხა პირუტყვი — წონით 39.641 კილოგრამი. მართალია, მან ამდენივე სული გადატვირთა, მაგრამ დააკლდა 335 კილოგრამი.

მსხვილფეხა პირუტყვის ბედი ეწიათ ღორებსაც, ი. ბერიძიაშვილმა დაამზადა 279 სული (ცოცხალი წონით 17.605 კილოგრამი), გადატვირთა ამდენივე, მაგრამ დააკლდა 199 კილოგრამი.

ესეც, რა თქმა უნდა, ცუდი შენახვის და ცუდი მოვლის წყალობაა.

აჭა ამბავი ადამის ედემიდან გაძევებისა

არაგვისპირის მეურნეობის ვაშლის ბაღი ნამდვილი ედემის ბაღია, ხოლო იქაური მეხუთე ბრიგადის ბრიგადირი **შალვა ალექსანდრეს ძე ღანიაშვილი** — ნამდვილი ადამი.

1980 წლის 18 ოქტომბერს ადამი ედემში შევიდა. ლოყებდაწითლებული ვაშლები მაცდურად გამოიყურებოდნენ, ვერ გაუძლო ადამმა ამ ცდუნებას, შეუჩნდა ეშმაკი და სამოცდათორმეტი კილოგრამი ვაშლი წამოიღო. რაღაც ისევ ეშმაკად იქვე გაჩნდა „მამაღმერთი“, რაღას იზამდა ადამი, აკრძალული ხილი ხელთა ჰქონდა?! ასე განდევნეს ადამი ედემის ბაღიდან.

* * *

ვიღაც, რომ პირველ ადგილზე გავიდეს, ვიღაცამ ხომ ბოლო ადგილი უნდა დაიკავოს, ვიღაცამ რომ გაიმარჯვოს, ვიღაც ხომ უნდა დამარცხდეს? ასე რომ, წინ წასული და ჩამორჩენილი თუ არ იქნა, შეუძლებელია. და თუ შეუძლებელია, მაშინ კანონია, და თუ კანონია, რას ვერჩით ჩამორჩენილებს. თუმცა არსებობს ერთი „მაგრამ“, თუკი წინსვლას საზღვარი არა აქვს, სამაგიეროდ განსაზღვრულია ჩამორჩენა. ამისათვის ადამიანებმა პროცენტი მოიგონეს, ასი პროცენტის ქვემოთ ჩამორჩენა უკვე ნამდვილი ჩამორჩენაა.

მაშ, ჩამორჩენილებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

დედაცხვრის სულადობის გეგმა მაღაროსკარის საბჭოთა მეურნეობამ 69 პროცენტით შეასრულა, ყოველი ასი ფურიდან საკვებმოპოვების საწარმომ ნაცვლად დაგეგმილი 81-სა მიიღო 54, ერთიც და მეორეც რაიონში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროში მაღაროსკარის მეურნეობამ და საკვებმოპოვების საწარმომ რაიონის მაჩვენებელი უკან დასწიეს.

ბაზალეთის კოლმეურნეობის ფუნად შემოსავალს დააკლდა 75,015 მანეთი. მარტო ნამჯა 9.858 ცენტნერით ნაკლები მიიღო და იზარალა 24,645 მანეთი.

გუდამაყრის კოლმეურნეობაში დოკუმენტური რევიზიით დანაკლისის სახით გამოვლინდა საკმაოდ სოლიდური თანხა (თავმჯდომარე **ვ. ბექაური**), ამ კოლმეურნეობაში ძალიან დიდია ნორმის ზევით გაცემული თანხები.

ეს, რაც შეეხება გასულ წლებს.

მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობას არც წელს ეშველა და „გულმოდგინედ“ ეწევა რაიონის საერთო მაჩვენებლებს უკან. დაბალია რძის წარმოება, დაბალია ხბორების მიღების პროცენტი.

მეურნეობის № 1 ფერმის გამგე **გ. კელიხაშვილი** ვერ იჩენს გერგილიანობასა და საქმის სიყვარულს (რასაც ვერ ვიტყვით „ნუნუაზე“). აქ გასულ წელს ორმოცდაათი ტონა ჭარხალი უჩვენეს ზედმეტად გაზარჯული, ამავე დროს ფერმაში 6.492 კილოგრამი ქერის მარცვალი და 2.247 კილოგრამი საკვების დანაკლისი გამოვლინდა.

მეცხოველეობის განვითარებაზე ცუდად მოქმედებს კიდევ ერთი ფაქტორი. ბარის ზონაში თითქმის აღარ არის საძოვარი, „შეჭამა“ სახნავმა ფართობმა, ვენახებმა, ბაღებმა და სატყეომ, დიდი ფართობი გადაეცა კოლექტიურ მებაღეობასაც. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს საჭიროა, მაგრამ იქნებ უფრო რაციონალურად დაეგეგმათ კულტურების განაწილება. ყურძნის მოსავალზე ცუდ გავლენას ახდენს მეჩხერიანობის დიდი პროცენტი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გვებადება სურვილი ამ მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელების გასაგონად ვთქვათ ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

„ჩვენთვისც იკარგვის, თქვენთვისაც,
რას დაგიღიათ პირები?“



ყარამან გაგაძე

მიგრაციას გოლო ეღება...

თბილისში მცხოვრებმა **რობინზონ ჯანგირაშვილმა** ნიანგს კიდევ ერთხელ ჩაუსახა იმედი, ფშავ-ხევსურეთის მიგრაციას ბოლო ეღება და ახლა, პირიქით, იქით ხდება ლტოლვა. მან თვალი დუშეთის საბჭოთა მეურნეობას დაადგა და 500 კვადრატული მიწა მიისამანა. აბა, მართლა რობინზონი ხომ არ იყო, სადმე უკაცრიელ კუნძულზე დაედგა კარავი. ვითომ რა, მეურნეობა ერთ გოჯ მიწასაც არ ჰკარგავს ამოუყენებლად? მოვიდა რობინზონი და გაშალა მუშაობა, სახლის შენება დაიწყო ოთხმოცი კვადრატული მეტრი ფართობისა, შემოქმედებითად, ყოველგვარი სტანდარტისა და პროექტის გარეშე.

(გაგრძელება მე-12 გვ.)

ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოებიდან სახლში მიმავალ ვაჟას თავის გახუნებული ნაბდით მოუხდა კონკაში ჩაჯდომა... ერთ-ერთ გაჩერებაზე ვიღაც ლამაზი ქალი ელოდებოდა კონკას, მაგრამ მასში ადგილი აღარ იყო. კონდუქტორმა თვალი დაადგა ქალს და, რაკი ადგილი არ ჰქონდა, ყველაზე გლეხურად ჩაცმულ მგზავრს — ვაჟას უბრძანა რუსულად: ჩადი კონკიდანო.

გლეხმა კონდუქტორს წაუყრუა. კონდუქტორმა უფრო ენერგიულად უყვირა: „Ну, сойди, болван“-ო და... გლეხის ალიყურნაჭამი გულაღმა გაიშლართა... მგზავრებს ძალიან გაჰკვირვებიათ და მოსწონებიათ პოლიციელებისათვის „დამნაშავის“ მიერ რუსულად მიცემული ახსნა-განმარტება და ყველა მას მიმხრობია.

—:—:—

ცნობილია, რომ ვაჟას მარჯვენა თვალი ციმბირის წყლულმა დაუზიანა. ამ ფიზიკურ ნაკლზე ზოგჯერ თვითონვე იხუნჯობდა პოეტი. თავის ძმებს სწერდა, მაგალითად: „თქვენ გენაცვალოსთ ჩემი ჩამობლეძილი ცხვირ-პირი! ისე გენაცვალენით, რო სუ ნაბუერი ჩამომდიოდეს“-ო.

ხოლო, როცა ერთ-ერთ მეგობარს (ვ. მათურელს) შეუნიშნავს: რატომ არ უმკურნალებ მაგ დაჭყეტილ თვალსო, ვაჟას უთქვამს: ამ დაჭყეტილი თვალის ბღვრიალით გაშინებთ შენ და ჩემ ძმა სანდროსო.

—:—:—

იმასაც ამბობენ, ბოქაული გლეხს უწყრებოდა და ვაჟამ მაშინ თქვაო ლექსი:

მუტრუკი მიტომ მუტრუკობს,
დედა ჰყოლია ვირიო,
კაცი ბეჩავის მჩაგრავი
სად გაგონილა გმირიო?!.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ვაჟამ სილა გააწნა გათავხედებულ მამასახლისს, რის შემდეგ, ცხადია, მოხელე დაბღვერილი ხვდებოდა პოეტს. ამაზე ვაჟამ თქვა კაფია:

რას მიბღვერ, მამასახლისო,
გული რად გიძეს დიდია?
იმით თუ მედიდგულები,
ყელზე რომ ჯაჭვი გკიდია...

სახლი ჯაჭვებით სავსე მაქვს,
ძაღლებიც ჯაჭვით მიბია,
ერთს შენაც გამოგიგზავნი,
რომელიც უფრო დიდია.

—:—:—

ვაჟა დიდხანს იბრძოდა, რომ მთაში ტყეები ხალხს დარჩენოდა. ამის გამო მას არაერთი უსიამოვნება შეხვდა. ვაჟას უთქვამს: „მე ეს ტყეები გასამდიდრებლად კი არ მინდა; მე თუ სიმდიდრე და ფუფუნება მინდოდეს, ამისათვის ბევრ სხვა საშუალებას გამოვძებნი. ქეიფის კაცი მე არა ვარ. ჩემ ქეიფს შეადგენს ერთი ჩარექა ღვინო, ერთი შაურის პური და ერთი შაურის ტარანა თევზი. თუ გავიმარჯვე და ეს ტყეები დავინარჩუნე, მაშინვე მე ამ ტყეებს მთლიანად ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას გადავცემ, საზოგადოება კი ამ ტყეების შემოსავლით რამდენიმე სკოლას გაგვიხსნის და ჩვენი საქმეც ცოტა წინ წავა. აი, ჩემი მიზანი და მიზეზი ყველა ჩემი დავიდარაბისა და ამდენი უსიამოვნებისა, რასაც შედეგად ჩემი დაპატიმრება და ხელების გაკვრაც კი მოჰყვა“-ო.

ამის თაობაზე კი გაზეთი „ივერია“ (1903 წ., № 118) წერდა: „ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ თიანეთში 30 მაისს განიხილა საქმე ლუკა რაზიკაშვილისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ ტყისმცველისა თვის სიტყვით და საქმით შეურაცხყოფა მიუყენებია 1902 წელს. ბრალდებულმა განაცხადა, რომ თვით ტყისმცველმა მაიძულა, მათრახით მომეგერიებინაო, და ამის დასამტკიცებლად სთხოვა სასამართლოს, გადასდეთ საქმის განხილვა და უმთავრესი მოწმე გიორგი ივანიშვილი დაიბარეთო, რადგან ის დაესწრო მოხელესთან შეტაკების დროსო. სასამართლომ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და განაჩენი გამოაცხადა, რომლის ძალით ლუკა რაზიკაშვილი დაპატიმრებული უნდა იქმნას ორის თვით. ბრალდებულს პალატაში გადააქვს საქმე...“

—:—:—

იმასაც ამბობენ: ვაჟას პარიკმახერისთვის შაური მიუცია. დალაქი შებუზღუნებია: გაგპარსე, „სემიჩკა“ კი არ მომიყიდია შენთვისო. ვაჟას უთქვამს: შენ რომ იცოდე, რა თავი გაპარსე, მაგასაც არ აიღებდიო.

ნახ. ვ. გედოშვილისა

ᲛᲐᲪᲜᲔ ᲛᲝᲘᲓᲐ ᲨᲐᲢᲘᲚᲡᲐ!..

(გაგრძელება)

ᲡᲮᲕᲘᲡᲐ ᲘᲣᲑᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲯᲐᲡᲐ ᲰᲛᲐᲚᲐᲕᲓᲔᲡ

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელგანთქმულ მწყემსს, სოციალისტური შრომის გმირს მლეთელ **ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲒᲐᲫᲔᲡ** აბა ჰკითხეთ, რაში გამოიჩინეთ თავი-თქო. არაფერი გამოგივათ, რადგან თავის ამხანაგ მწყემსებზე დაგიწყებთ ლაპარაკს, მათს შრომაზე, მათს თავდადებაზე, არადა, უკვე თითქმის ორმოცდახუთი წელია, რაც მხარზე კომბალგადებული მიერეკება ცხვარს ყიზლარამდე და იქიდან დიდი ნამატით ბრუნდება. მაინც „გაუგეს“ ყარამანს, აბა, რა ეგონა! ბოლოს და ბოლოს, ფარდა აეხადა მის საქმიანობას და საკადრისიც მიეზღო — გმირად აღიარეს, რაიონში დაფასებულ კაცს, ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა აფასებს, მადლობას უხდის და ეფერება.

მეცხვარე კაცს ცხვარს და ოჯახს ერთად დაულოცავენ ხოლმე. ყარამანი ამ მხრივ მართლაც დალოცვილია — მის მონაგარს ცხრა შვილიშვილი შეემატა, ცხრა სიხარული! გიმრავლოს სიხარული, მთიელო კაცო!

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ

ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ შეცდომა არსებობს: არის შეცდომა, რომელიც საბედისწერო გამოდგება ხოლმე, ისეთი შეცდომებიცაა, რომელთა გამოსწორებაც შეიძლება, მაგრამ არის თურმე სასარგებლო შეცდომებიც.

ᲠᲝᲖᲐ ᲑᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის დელეგატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, სწორედ რომ ასეთი „შეცდომა“ მოუვიდა. ეს მოხდა 1978 წელს.

როზა სოფელ მაღაროსკარის ბუსნისჭალის მეღორეობის ფერმაში მუშაობს ოპერატორად. მას გეგმით 58 ცენტნერი ხორცი უნდა ეწარმოებინა, მაგრამ ეტყობა დაკვირვებით ვერ ამოიკითხა გეგმით მოცემული ციფრი და გად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამირან მოთიაშვილი

(დასასრული)

შენით და დეკეულებს სარფიანად ვყიდით.

ჯალაბამ თუშური ცხვრისა და ხევსურული ჯიშის ძროხის სიკეთეზე დაიწყო საუბარი, მის თვისებებზე, ხასიათზე. იცის ჯალაბამ პირუტყვის ენა, იცის, რა უხარია და რა სწყინს.

კინაღამ დაგვავიწყდა, **აფციაურია გვარად ჯალაბა, ვასილის ძე.**

მეოცნებე ნიანგი

— არ არის ფონდი, გაიგე, ადამიანო! — ყვირის ხევსურული ლუდის ქარხნის დირექტორი ალუდა,— ამდენ წერილებს ხომ ხედავ, ზოგი ამერიკიდანაა, ზოგი საფრანგეთიდან, ზოგიც კიდევ ოკეანიიდან. სულ ასზე მეტი ქვეყნიდან.

— ოქროზე მცვლი, არა? კაპიტალისტი გირჩევნია ჩემს თავს, არა? მალე მოხვალ და თაფლსა მთხოვ, მეც ასე მიგიღებ, — ბრაზობს გაერთიანება „ხევსურული თაფლის“ მმართველი მინდია.

— ჩუმად იყავი, სტუმრები არიან ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიიდან, სირცხვილია.

— რა გვინდაო? — ხმას დაუწია მინდიამ.

— ჩვენი ლუდის ტექნოლოგიას სწავლობენ, პრაღასა და ბერლინში ისეთი ქარხანა უნდა ავაშენოთ, როგორიც ბარისახოში გაქვთო.

— შეძლებენ ვითომ? — დაეჭვებული კითხულობს მინდია.

როშკის შემოგარენზე უთქვამს ვაჟა-ფშაველას:

„ლამეხა უფრო ალამებს დიდი ტყე ფიჭვნარიანი:
თელა, ვერხვი და წიფელი, ცაცხვი ტანჯავარიანი,
მიყრით ერთურთში დაქსულნი მუხა თავკარავიანი“.

ამდენი ჯიშის ხეებიდან შექმნილი ჰაერის კოქტეილი, სწორედ რომ მისწრებაა კურორტისათვის. და არის დიდი გაწამაწია — როშკაში საგზურის შოვნა, „დუბლიონკის“ შოვნის ტოლფასოვანია, თუმცა შატილური ნახელავი ტოლს არ უდებს შოტლანდიურს. აქაურმა ხალიჩებმა და ფარდაგებმა ხომ მთლად გადარია სპარსელები და ავღანელები იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე. აკი იმდენი ოსტატი მომზადდა სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში, სკოლაშივე სწავლობდნენ ბავშვები ქსოვას, ქარგვას, ხესა და ლითონზე მუშაობას.

აქ არაფერი კარგი არ იკარგება, კარგი კი ბევრია. ფშავის ხეობაში, მდინარე არაგვზე საკალმახე მეურნეობაა, ნარეკვავის წყალსაცავში მოშენებულია ძვირფასი ჯიშის თევზები. ტყეებსა და ხევხუვებში კი იმდენი ჯიხვი, არჩვი, ნიამორი, ირემი და შველია, რომ ხშირად ტურისტებს გზაშიც ეფეთებათ, საბაგირო გზების კაბინებში მჯდომი ხალხი თვალნათლივ ხედავს ჯიხვთა ჰიდილს.

რა საოცრებაა, არხოტში თოვლი არ იცის, არადა, საძოვრები მაინც გადათეთრებულია თუშური ცხვრით. დაფნის გვირგვინი ხევსურულ ძროხას! სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში მანაც შეიტანა საკმაო წვლილი! მარტო მისი ერბო რადა ღირს, სახელგანთქმული და დაუწუნარი.

გამრავლდნენ არაგველები, ველარ აუვიდნენ სამშობიაროების შენებას და დაარსდა ახალი ორგანიზაცია: „სამშობიარმშენი“, სადაც ლოზუნგად დიდი მთისშვილის სიტყვებია გამოკრული: **„ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია!“**

ეს არ არის საფუძველს მოკლებული ოცნება...

ანანურის საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდა მივიდა და სამუშაო ითხოვა:

— ვახტანგი ვარ, ციხისელი, თბილისელი, წელს საშუალო სკოლა დავამთავრე.

ეს იყო ამ ოთხი წლის წინათ. როგორ მოტყუვდნენ ურწმუნო თომები — ფულის საშოვნად არის მოსული, თორემ ჯინსებიანი მწყემსი სად გინახავთო.

მერე ის უნდა გენახათ როგორ გამოიჩინა თავი შრომითა და გარჯით.

ეს კიდევ არაფერი, წელს მის კვალს კიდევ ოთხი თბილისელი დაადგა, ოთხი ახალგაზრდა

— თუ გგონიათ, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე წინ და უკან ჩვენზე ნაკლებს დადიან ჩვენი ტოლები, ნამდვილად შეცდებით, — ამბობს ვახტანგი. — ასე რომ, გამოცდილება საკმაო მქონდა და ამიტომაც არ მიჭირს ყიზლარამდე ფეხით გასვლაო, — სიცილით ამთავრებს იგი.

არხოტში ახლახანს ათი ოჯახი ჩასახლდა, მალე ჩასახლდებიან შატილში, სუნთქვას დაიწყებს სოფელი ფიტავიც...

ფშავ-ხევსურეთის დასახლების ამ პატრიოტულ საქმეში მთელი ქართველი ახალგაზრდობა მიიღებს მონაწილეობას.

„ნიანგის“ სპეციალური კორესპონდენტები:
ჟანი სიხარულიძე,
გარი მეტრეველი.

ვახტანგ ციხისელი

წერილი პაპას

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო,
წერილს გიგზავნის შენი ძის
უფროსი შვილი აპალო:

შენს ქისას ვეამბორები,
გადმომისროლე, აბაო!
ნამდვილი შვილიშვილი გყავს,
აბა, რამ გამაღლაპაო?!

პოეტად ვიხსენიები,
სხვის სტრიქონებსა ვყლაპავო!
რედაქციების ბაგაზე
ჩემისთანებიც აბაო!

ხან ტანშიშველი დავდივარ,
ხან მათბობს ცოლის კაბაო!
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემი პელმენის ლაბაო!

უკანასკნელი მოდაა —
ცოლს დავახურე ტაფაო,
მაღალ ქუსლებზე ავსვი და
ძირს მოადინა ტყაპაო!

გავუღე სული და გული,
ცხრიანში ვგლიჯე შლაპაო!
ჭკუამხიარულ ოჯახსაც
დიდი სდომნია ჯაფაო!

სხვის ლხინში ხელგაშლილი ვარ,
არც დამკარგვია მადაო!
უსათაურო ლექსს ვბეჭდავ
ჟურნალში გაისადაო —

კედლის გაზეთი ეყოფა,
აპალო გაიზარდაო!
მას აქეთ ჩონგურს ვაჟღერებ,
გადასარევად ვჩმახაო!

ერთმა თქვა: ასე არ წერდა
თავად ატოცის გლახაო!
მადლობა გადავუხადე,
კარგად რომ არ გამლახაო!

სხვათა ფეხის ხმას ავყევი,
მეც დამიღია ხახაო!
მე რომ ცრემლების ღვრაზე
ვწერ,
ყველა იცინის — ხა-ხა-ო!..

პაპავ, მოგელი, ჩამოდი,
რა კარგად ვცხოვრობ აქაო!
მოგრთო და ამოგიყვანო
ქიმწმენდით ღვინის ლაქაო!

მე ტიკი ჩამომიტანე,
ჩემს შვილებს — ცოტა კაკაო!
სიცოცხლე გაგიხანგრძლივო,
გასვა ჩაი და კაკაო!

ჯემალ ინჯია

ნახ. ჯ. ლოლუასი

პატრონი სტირის, იძახის:
„ველარას ვუშველ, ვერასა!“

გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მადლი,
უსამართლობას ჰშვრებითა!



ვეძიე, ვერსადა ვპოვე
ჭირისგან მხსნელი წამალი!..

ჩხიკვთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ერთ დიდ, შავ, დაბურულ ტყეში მოხდა, სოფლებსა და ქალაქებზე ძლიერ დაშორებით. ჩხიკვი ზაქარა იწერდა ჯვარს ლამაზს, სიტურფით განთქმულ და მეტისმეტად ეშმაკ ჩხიკვ ქეთევანზე. ამ ორ ახალგაზრდა ჩხიკვს მეჯვარედ ჰყავდა მხცოვანი ჩხიკვი თომა — კურკანტელტრესტის მმართველი.

თომამ გულმოდგინედ აღაპყრო თვალნი ზეცად და წარმოსთქვა: „აკურთხე უფალო, გვირგვინი ამათი“, ჯერ საქორწინო ბაჯაღლო ბეჭდები წამოაცვა თითებზე, მერე ბრილიანტისთვლიანები. იქვე აუწყა სუფრას, რომ პატარძალი თებერვალში იყო დაბადებული და ახლა ამეთვისტოსთვლიანი ბეჭედი წამოაცვა არათითზე, და ამეთვისტოსთვლისავე კულონი ოქროს ძეწკვით ჩამოჰკიდა ყარყარა ყელზე. კიდევ ერთხელ დალოცა და სავსე ჯიხვი გადაჰკრა.

„ამინ!“, „ამინ!“ გაისმა გრგვინვით ხმა აქეთ-იქიდან. ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეული ფრინველნი: ჩხიკვნი, ქეროენები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვრალები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი. ტევა აღარ იყო, იმდენ სტუმარს მოეყარა თავი. ზაქროს სასიმამრო ტყის ხილკენკროვანი წვენების ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე იყო და ამიტომაც სუფრაზე ბლომად ჩანდა თანამდებობის ხალხი, ხოლო მამა ზაქროსი ჩხიკვი ჭიმია ცოცხალმკვდარლეშჭამია ფრინველთა მომარაგების სამსახურის უფროსი იყო და ყველამ იცოდა, რომ თვითონ არწივმა აშოვნინა ეს ადგილი.

ნეფე-დედოფალი სპარსული ხალიჩით გაწყობილ ტახტზე მიიწვიეს და წვეულნიც ჩამოსხდნენ მწკრივად. გაიმართა დიდი სმა-ჭამა, ათასნაირი სასმელი ისმოდა: კახური ლალისფერი ღვინო წყალივით მოდიოდა სუფრაზე, იყო ვისკიც და კონიაკიც, შამპანური „პოლუსლადკი“ და „პოლუსუხოი“, რომი და პორტვეინი უფრო ბეჯითი მსმელებისათვის. ყველამ ადღეგრძელა ნეფე-დედოფალი და ყველამ საჩუქარი მიართვა. წინ წამოდგა „საპოჟნიკების“, მექისეებისა და თერძების გაერთიანება „ყიყლიყოს“ პრეზიდენტი კოდალა და თანამშრომლებს შემოატანინა სეფე-დარბაზში ჯინსის კოსტუმები თეთრი და იისფერი, კოსტუმები ვილვეტისანი, შოკოლადისა, ყავისა და ბორდოსფერნი, ლაიკის „კურტკები“ და „დუბლიონკები“, შავი, იაფერი და ცაფერი „შუბები“.

— გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს! — დაიყვირა კოდალამ მაღალი ხმით, — კამპანიასაც გაუმარჯოს, ვაშა!

— გაუმარ...ჯოს! — შესძახეს ამფსონებმა.

თამადამ ღვინით სავსე ჯიხვი მიაწოდა, იმანაც სულუქცევრად გადაჰკრა.

ახლა ყვავი გაიჯგიმა —გრეხილ-ღრეცილი ავეჯის საფირმო მაღაზიის ხაზეინი, საძილე გარნიტური „ფარშავანგი“ მომირთმევიაო, დაიჩხავლა, მაღაზიაში ფულის გადახდის ქვითარი გაუწოდა საჩუქრების მომგროვებელს და თან ნისკარტში გამოსცრა —სემ ტისიაჩ სემსოტ სემდესიატ სემ სოროკ.

მუსიკოსებმა „სემ სოროკი“ დაუკრეს.

მერე რიგრიგობით მიდიოდნენ ნეფე-დედოფალთან სხვანი და სხვანი, ულოცავდნენ, ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ. ჭიმიამ მანქანის გასაღები და„პრავა“ ტაშისა და ტუშის გრიალში გადასცა სარძლოს.

წრუწუნასაც უნდოდა თავის გამოჩენა, მაგრამ ვერ ბედავდა.

— გაბედე, წრუწუნ, გაბედე! — ეძახდნენ აქეთ-იქიდან.

წრუწუნას გულზე ხაფანგი ჰქონდა ამოსვირინგებული და ქვეშ ეწერა: „ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი“.

— რა უნდა გავბედო, შვილონიავ, რის პატრონმა, ერთი ფეკალიების კანტორა მაბარია და ეგ არი, — დაიჩივლა და საფულედან ძვირფასთვლებიანი გულქანდა ამოაპორწიალა.

— ამით დამისაჩუქრებია ნეფე-დედოფალი!

ღვინით სავსე ჯიხვი მიაგებეს. თაგუნა დაიწკიპა, ყელის ძაფები დაეჭიმა, შეებრძოლა ღვინოს და გადაკრა, დაცალა, ხოლო ფერად პერანგზე სწორედ იმ ადგილას გადაესხა ღვინო, სადაც ლათინური ასოებით ეწერა „ადიდას“.

ქორწილი

სულ ბოლოს სუფრაზე ბულბული იჯდა, ქეთინოს მუსიკის მასწავლებელი. მგალობელი ჩიტი არ ლხინობდა, არც იცინოდა, დაღონებულ-დაფიქრებული უცქერდა სეირს. ბულბულს საჩუქრად წიგნი მოეტანა და ახლა ერცხვინებოდა მისი გამოჩენა, შიშობდა, ვაითუ საცინლად ამიგდონო. მაინც გაბედა, საფორტეპიანო პიესების კრებული გადასცა პატარძალს და სამახსოვრო წარწერაც გალობით წაუკითხა. ბულბული კანტიკუნტი ტაშით გააცილეს.

მერე ფრინველთ გააბეს საერთო მღერა.

ამ დროს თვალების ბრიალით გადმოიარა არწივმა. მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ჟივილ-ხივილით მიეგება ყოვლისშემძლე საპატიო სტუმარს.

არწივი „კოოპბუდემშენმტაცწართმევყიდვის“ გაერთიანების გენერალურ დირექტორად მუშაობდა და მისგან დიდი წყალობა იყო მოსალოდნელი.

დირექტორი საპატიო ალაგას დააბრძანეს და მას თვითონ ჭიმიამ მოართვა ნუგბარი საჭმელები, უმეტესად ხორცეული. მერე ღვინო მიართვეს ჯიხვებით, მარნებითა და ქვევრულებით. არწივმა ფეხზე ადგომით ინება სადღეგრძელოების წარმოთქმა. ყოველ სადღეგრძელოს დამთავრებას მუსიკოსები ტუშით აგვირგვინებდნენ. მერე ბრძანა, შალახო დამიკარითო და დაჭმუჭნილი ასმანეთიანი ესროლა მედოლეს...

ბრძანება იმავ წუთს ასრულდა და არწივმაც დაიწყო ბობღვა, ბაღდადის ხელსახოცი ამოიღო ჯიბიდან, ძირს დააგდო და ცეკვა-ცეკვით მისი აღება სცადა, ერთმა ღობემძვრალამ აუქავრა ხელი, ყველასგან შეუმჩნევლად, ხელსახოცში შეძვრა და მაღლა ასწია — ნისკარტთან მიუტანა.

ცეკვა დამთავრდა. არწივი მქუხარე ტაშით დააჯილდოეს. გაოფლილი გენერალური დირექტორი წინ წამოდგა, თვალ-წარბი ხელსახოცით შეიმშრალა და გულისჯიბიდან ხუთოთახიანი ბუდის გასაღები ამოიღო, ახლოს მივიდა, ნეფეს აკოცა და კისერზე ჩამოჰკიდა.

— არწივს ვაშა და დიდება! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და მგალობელთა გუნდმა „მრავალჟამიერი“ დააგუგუნა.

ფრინველებში ყველაზე თამამად კოდალა იქცეოდა.

— შენ გენერალური დირექტორობა ვინ მოგცაო, — არწივს აუხირდა.

გაჩუმდი, შე ოჯახქორო, რაებს როშავო, წასჩურჩულეს ფრინველთ.

— არც გავჩუმდები და არცა! — ყვიროდა შეზარხოშებული კოდალა, — გულში ყველას გეჯავრებათ, შვილოსან, ლევს აკეთებსო, და პირში კი ვერაფერს ეუბნებით. ბიჭობა პირად თქმაა.

მეჯვარე თომამ უხერხულობის დასაფარად მუსიკოსებს გასძახა, ერთი შური-ბაღდადური დამიკარითო და პატარძალი გადაიყვანა საცეკვაოდ.

— შაბაშ! — იყვირა არწივმა ბოხი ხმით და ორი ხუთთუმნიანი ესროლა თომას.

თომამ მარდად დაიჭირა და თითებშუა ჩაუდო მოცეკვავე პატარძალს, რომელიც ყველა მხრიდან გამოწვდილ ფულებს გამოცდილ მეჩაიესავით კრეფდა და კალათაში ჰყრიდა. კალათა სწრაფად ივსებოდა.

ფრინველნი რომ ამ განზიდულობაში იყვნენ, მელა მიჰპარვოდათ, იგი ახალი გამოსული იყო ციხიდან და ამდენი ფულის დანახვაზე ნერვებმა უმტყუნა, კალათას ეცა. ღაჯბატონამ ღვინით სავსე ბოთლი ესროლა რეციდივისტს და შიგ თავში მოახვედრა.

ქორწილი აირია!..

ვაჟას ზღაპარი ასე ესიზმრა

ელგუჯა მერაბიშვილს



ერთხელ საქმეზეც ვიფიქროთ, დარბაისელნო, მოდითა!

552
31.VIII
81



ვიცოდი ძალიან კარგად: ეს უნდა გადამეყარა!

ხელში უჭერავ ფრანგული, გადატეხილი ქნევითა.

f-81 81-552

ნახ. ზ. ფოტრჩხიძისა

ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
გადალესულსა ცოფითა!

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 15-16 (1602) აგვისტო
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

●

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ნოდარ გართაია,
გორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ალექსანდრე სამსონია,
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუბალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
3. 7. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
12. 8. 81 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სალრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
[illegible] ქ. № 14,
შეკვეთა № 1837. უე 14146
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხა-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მემან-
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.
ფასი 40 კაპიკი
ინდექსი 76137